ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N02

დაბა ქედა, 22.11.2022 წელი

სხდომა დაიწყო 16:05 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა 16:30 სთ-ზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი
გოჩა გორგილაძე-კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი
გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
სულიკო ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი;
თეონა ჯინჭარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით;
ეკა გოგუაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვა.

მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი: 12-95223193-95, 15.11.2022 წელი) და ძირითადად განიხილა აღნიშნულ ბიუჯეტში ასახული მუნიციპალიტეტში არსებულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. კომისიას არსებითი ტიპის შენიშვნები 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტთან მიმართებაში არ ჰქონდა.

აზრი გამოთქვეს:

ავტობუსის შესყიდვასთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა იმსჯელეს, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტს ქედა-ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანის კუთხით პრობლემა არასდროს ჰქონია, ამიტომ მიაჩნდათ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტისათვის უფრო პრიორიტეტული იქნებოდა ამ თანხით შეძენილიყო ექსკავატორ-დამტვირთველი („JCB” ტიპის), რადგან მუნიციპალიტეტში ხშირია მეწყერული პროცესები, რაც ქმნიდა აღნიშნული ტექნიკის საჭიროებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე : 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტიში გათვალისიწნებული იქნას წინადადება ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით; თეონა ჯინჭარაძე